დამტკიცებულია სტუ-ს რექტორის
2024 წლის 02 თებერვლის №108265 ბრძანებით

დანართი

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და ფაკულტეტის/სკოლის ბიბლიოთეკებით სარგებლობის წესი

1. ეს წესი არეგულირებს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის (შემდგომში - სტუ) ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და სტუ-ის ფაკულტეტის/სკოლის ბიბლიოთეკაში გაწევრიანებას, საბიბლიოთეკო ერთეულების გამოწერა-სარგებლობა-დაბრუნებასათან დაკავშირებულ საკითხებსა და ბიბლიოთეკაში ქცევის წესებს.
2. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი ეფუძნება „საბიბლიოთეკო საქმის შესახებ" საქართველოს კანონს, ნიკო მუსხელიშვილის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის დებულებას და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივ აქტებს.
3. საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკისა და სტუ-ის ფაკულტეტის/სკოლის ბიბლიოთეკის ფონდით (ყველა სახის ბეჭდური და ელექტრონული რესურსით) სარგებლობა შეუძლიათ სტუ-ის:
ა) სტუდენტებს (ბაკალავრი, მაგისტრი; დოქტორანტი, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტი);
ბ) პროფესორ-მასწავლებლებს;
გ) დამხმარე პერსონალს;
დ) დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი/ცენტრი) პერსონალს.
2. ბიბლიოთეკით სარგებლობა შესაძლებელია გაწევრიანების შემდეგ. სტუ-ის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და სტუ-ის ფაკულტეტის/სკოლის ბიბლიოთეკაში სააბონენტო მომსახურებისათვის აბონენტი უნდა იყოს დარეგისტრირებული საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის ცენტრალურ ოფისში.
3. სტუ-ის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკასა და სტუ-ის ფაკულტეტის/სკოლის ბიბლიოთეკაში გასაწევრიანებლად აუცილებელი დოკუმენტებია:
ა) სტუდენტებისათვის: პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი, შესაბამისი ფაკულტეტის მიერ გაცემული ელექტრონული ფოსტა;
ბ) პროფესორ-მასწავლებლებისათვის, ტექნიკური და დამხმარე პერსონალისათვის და სტუ-ის დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის (ინსტიტუტი/ცენტრი) თანამშრომლისთვის: შესაბამისი სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი.
4. სტუ-ის საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკაში აბონენტს ემსახურება ოთხი დარბაზი:
ა) პერიოდულ გამოცემათა დარბაზი;
ბ) ელექტრონული წიგნების დარბაზი;
გ) ტექნიკურ მეცნიერებათა დარბაზი;
დ) ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დარბაზი.
5. ბიბლიოთეკის მთელ ტერიტორიაზე ხელმისაწვდომია wifi.
6. საბიბლიოთეკო მომსახურება ითვალისწინებს საბიბლიოთეკო ერთეულების დროებით სარგებლობაში გადაცემას შემდეგი პირობებით:
ა) სტუდენტს ერთ ჯერზე შეუძლია ინდივიდუალური გამოყენებისათვის ფონდიდან მიიღოს სხვადასხვა დასახელების 12 წიგნი 6 თვის ვადით, თუ აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ, სტუდენტს კვლავ დასჭირდება იგივე წიგნი, აუცილებელია ამ ლიტერატურის ახალი ვადით რეგისტრაცია და გაცემა;
ბ) პროფესორ-მასწავლებლებისა და სხვა კატეგორიის მკითხველთათვის წიგნით სარგებლობის ვადაა ერთი თვე;

გ) რარიტეტული საბიბლიოთეკო ერთეულებით, ენციკლოპედიებით, რუკებით, ლექსიკონებით, დისერტაციებით, პერიოდული გამოცემებით ან საბიბლიოთეკო ერთეულის შეზღუდული რაოდენობის (ოთხზე ნაკლები) ეგზემპლარით სარგებლობა შესაძლებელია მხოლოდ ადგილზე, დარბაზებში.

7. სტუ-ის ბიბლიოთეკის აბონენტს ასევე შეუძლია ისარგებლოს ელექტრონული სერვისებით:

ა) ელეტრონული კატალოგით, რომელიც განთავსებულია სტუ-ს ბიბლიოთეკის ვებ-გვერდზე;

ბ) გაეცნოს მისთვის სასურველი საბიბლიოთეკო ერთეულის ელექტრონულ ვერსიას (არსებობის შემთხვევაში);

გ) საერთაშორისო სამეცნიერო მონაცემთა ბაზებით (განთავსებულია ვებ-გვერდზე);

დ) ინტერნეტში სასწავლო-სამეცნიერო და საინფორმაციო მასალების მოიძიება;

ე) სასწავლო პროცესებთან დაკავშირებული სხვადასხვა ინფორმაციის მოპოვება (ჩათვლებისა და საგამოცდო ქულების შემოწმებას, სხვადასხვა საგრანტო მონაცემების გაცნობას და ა.შ.)

ვ) მოითხოვოს ამა თუ იმ სტატიის, წიგნის ან სამეცნიერო-სასწავლო ჟურნალის (მისთვის საინტერესო) ნაწილის ელ. ვერსია, რომელიც უშუალოდ გადაეგზავნება მას, საავტორო უფლებების დაცვის გათვალისწინებით.

8. სტუ-ს საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკის პერიოდულ გამოცემათა დარბაზში მკითხველს შეუძლია გაეცნოს სხვადასხვა სამეცნიერო, მხატვრულ და სხვა სახის ჟურნალ-გაზეთებს.

9. სტუ-ს საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების, სტუდენტის სტატუსის შეჩერების, შრომითი ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ საბოლოო ანგარიშსწორებისათვის, საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა გასცემს შესაბამის ცნობას.

10. ბიბლიოთეკაში იკრძალება: ხმამაღლა ლაპარაკი, სხვადასხვა გასართობი და სათამაშო (სასწავლო პროცესთან შეუსაბამო) საიტებით სარგებლობა.

11. მკითხველი ვალდებულია:

ა) დაიცვას სტუ-ს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები;

ბ) პატივი სცეს როგორც ბიბლიოთეკის თანამშრომლებს, ასევე სხვა მომხმარებლის უფლებებს;

ბ) გაუფრთხილდეს და არ დააზიანოს ბიბლიოთეკის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა;

გ) ბიბლიოთეკაში შემოსვლისთანავე გადაიყვანოს მობილური ტელეფონი უხმო რეჟიმზე; დაიცვას სიჩუმე; ჯგუფური მუშაობისას არ შეუშალოს ხელი სხვა მკითხველს;

დ) საბიბლიოთეკო რესურსით სარგებლობის შემდეგ თვითნებურად არ დააბრუნოს ისინი თაროზე, არამედ ჩააბაროს ბიბლიოთეკარს ან დატოვოს მაგიდაზე;

ე) წიგნის ან სხვა მასალის მიღებისას გულდასმით შეამოწმოს ის და დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში შეატყობინოს ბიბლიოთეკის თანამშრომელს.

12. საბიბლიოთეკო ერთეულის დაკარგვისას, აბონენტი ვალდებულია:

ა) აღადგინოს დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეული იდენტური გამოცემით ან მისი ასლით;

ბ) დაკარგული საბიბლიოთეკო ერთეულის აღდგენის შეუძლებლობის შემთხვევაში, ზარალი აანაზღაუროს თანხით (დაკარგული ერთეულის ღირებულებას ემატება 50 (ორმოცდაათი) ლარი.

13. ქცევის წესების დარღვევის შემთხვევაში, მკითხველს ეკისრება სტუ-ს შინაგანაწესითა და ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა.

14. სამუშაო საათები: ორშაბათი-პარასკევი: 09.00 – 20.00 , შაბათი: 10.00 – 15.00.